№ 54 მარტი 9, კვირა 1886 მარტი 9, კვირა № 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შაჰერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი ,,ივერია'' 1 მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

ტფილისი, 9 მარტს

რუსეთის რუკას რა შეხედავს კაცი, დაინახავს, რომ გაწოლილია მთელს ჩრდილოს მხარეს, დაწყებული ჩრდილოდ ბალტიისა და სამხრეთით შავის ზღვიდამ გადაყოლება ბერინგის ზღვამდე, რომელიც დიდს ოკეანეში გადის. ამ სახით სხვათა შორის მთელი ჩრდილო აზია ხელთ უპყრია და აღმოსავლეთით კარი ღია აქვს დიდ ოკეანესაკენ. ჩრდილოდ ყინულის დიდი ზღვა უდევს, მაშასადამე, აქაც გზა გახსნილი აქვს ზღვისაკენ. ბალტიის ზღვით, თუმცა არა საკმაოდ თავისუფლად, გასავალი აქვს დასავლეთის მხრივ ნემეცთა ზღვაში და აქედამ ატლანტიკისაში. ხოლო სამხრეთით ზღვისაკენ გზა შეკრული აქვს. აი სწორედ ეს გარემოება აძლევს მიმართულებას რუსეთის პოლიტიკას აზიის გამო და ჩვენის ფიქრით, ეს არის საბუთი და მიზეზი რუსეთის წინ მსვლელობისა სამხრეთს აზიაში. რასაკვირველია, ამ მოძრაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიას და ნამეტნავად ამიერ-კავკასიასა. აქ ფეხ-მოკიდებულს კაცს დიდი ღონე ეძლევა აზიის სამხრეთისაკენ ჩაიწიოს. ამიერ-კავკასიიდამ პირ-და-პირ რომ ჩავიდეს კაცი, სპარსეთზედ ჩაივლის, გავა სპარსეთის სრუტით სპარსეთის ზღვაში და აქედამ ინდოეთის ოკეანეში. ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ რუსეთს თითქმის ოთხსავე კუთხივ ზღვა ექმნება და მაშასადამე გარედ გასავალიც. ეს ამიერ - კავკასიიდამ პირ-და-პირი გზა ინდოეთის ოკეანესაკენ ბევრს დაბრკოლებას წარმოადგენს. პირველი რომ სპარსეთი იმისთანა სახელმწიფოა, რომელსაც ევროპა ეგრე ადვილად არავის დაუთმობს. მეორე, სავრცით სამი იმოდენაა, რაც კავკასია და, თუ დასაჯერებელია უკანასკნელი ცნობა, ათი მილლიონი მცხოვრები ჰყავს ორისავე სქესისა. ამოდენა სახელმწიფო გზას არ მისცემს.

სხვა გზა კიდევ აქვს რუსეთსა ინდოეთის ოკეანესაკენ გასასვლელი, თუმცა ისეთი მარჯვე არა, როგორიც სპარსეთია, მაგრამ უფრო ადვილად მოსახერხებელი და ადვილად გადასაჭრელი. ეს თურქესტანია, რომელიც უკვე დაჭერილია ყაშგარამდე, ესე იგი, მთელი დასავლეთი თურქესტანი, და აღმოსავლეთი კი რუსეთის სამზღვარ გარედ არის. აქ შუაში ჩაჩხირულია მხოლოდ ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებული ხივა და ბუხარა. ხივას სულ 900 ათასი მცხოვრები ჰყავს და ბუხარას თუმცა ორი მილლიონი და 130 ათასი, მაგრამ 1868 წ. აქედ რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება. თუნდ ეგეც არ იყოს, ამათი ხელში ჩაგდება ადვილია, რადგანაც სრულად უღონონი არიან გაუწყობლობისა გამო.

ამათაც რომ თავი დავანებოთ, მაინც კიდევ რუსეთს სახსარიც აქვს სამხრეთით გზა ჩაიჭრას ინდოეთის ზღვისაკენ. უკვე დაპყრობილ თურქმენებზედ რომ ჩაიაროს, სპარსეთის სამზღვრებს გეზად აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ ჩაუხვიოს ზედ ავღანისტანზე მივა. პირველი, რასაც აქედამ მიმავალი ინდოეთის ოკეანესაკენ მიადგება, ჰერათი და ქაბულია. აი ამ უკანასკნელ კამათობაში რუსეთისა და ინგლისის შორის რა მიზეზით ხშირად ხსენებულ იყვნენ ჰერათი და ქაბული. ჰერათში სულ 50 ათასი მკვიდრია, ქაბულში 60 ათასი და მთელს ავღანისტანში ოთხი მილლიონი. ავღანისტანი რომ შუაში არ ედვას რუსეთსა და ინგლისის ინდოეთსა, ინგლისი იქნება ისე ძლიერ არ გამოჰქსარჩლებოდა ავღანისტანს, როცა ამ უკანასკნელ დროს რუსეთმა ძალა-უნებურად აქედ ჩამოიწია. რა თქმა უნდა, ინგლისისათვის უფრო სახეიროა ჯერ ისა, რომ სუსტი მეზობელი ჰყვანდეს, ვიდრე ძლიერი, მეორე ისა, რომ რუსეთსა და ინგლისს შუა-ედვას სხვა თავისუფალი სახელმწიფო, რომელიც ძალა-უნებურად ინგლისის მომხრე უნდა იყოს, რაკი რუსეთი მის დაპყრობას მოისურვებს. აი ამიტომაც, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, დღეს რუსეთი და ინგლისი ერთმანეთში ისე მორიგდნენ ავღანისტანის გამო, რომ მიჯნა უნდა გაატარონ, რომელსაც არც რუსეთი უნდა გადაჰსცილდეს ავღანისტანისაკენ და არც ავღანისტანი რუსეთისაკენ.

საკმაო არ არის კაცმა მარტო ავღანისტანი დაიჭიროს ინდოეთის ოკეანესაკენ გასასვლელად. ამისათვის ავღანისტანის დამპყრობელმა ან სპარსეთს უნდა ჩააჭრას ქვეყანა, ან ბელუჯისტანი დაიჭიროს, რომ სპარსეთის ზღვაში გავიდეს და აქედამ ინდოეთის ოკეანეში. ბელუჯისტანში 276 ათასი მკვიდრია და ეს ქვეყანა ზედ სპარსეთის ზღვაზეა მიმდგარი.

ამ მოკლედ მოხსენებულიდამ ცხადია, რა ჰხდის იძულებულად რუსეთს, რომ აზიაში იმ პოლიტიკას მისდიოს, რომელიც ასე აფრთხობს ინგლისსა. რუსეთს სამის მხრით ზღვებსა და ოკეანებში გასავალი გზა აქვს. მარტო მეოთხეს მხრით, ესე იგი, სამხრეთიდ დაბრკოლებულია. ევროპაში შავის ზღვის განუთავისუფლება უშლის და აზიაში ზემოდ ჩამოთვლილი ქვეყნები წინ აჭკედლებიან. ყველას უკვირს, სად მიიწევს რუსეთი აზიაში ეგრე შორსაო.. ამ გარემოებას, რომ ყური ათხოვოს კაცმა, ცხადი იქნება რად და სად მიიწევს რუსეთი.

ახალი ამბავი

⁂ 7 მარტს ს.-პეტერბურგის ბირჟაზედ ტფილისისა და ქუთაისის გირავნობის ფურცლების მსყიდველნი ყოფილან, ტფილისისაში უძლევიათ 97 მან. და 25 კაპ. და ქუთაისისაში—96 მან. 75 კაპ., მაგრამ გამსყიდველნი არ აღმოჩენილან.

⁂ ახლად დაარსებულის გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად დაინიშნება წევრი საქართველოს სინოდალურის კანტორისა არხიმანდრიტი გრიგოლ დადიანიო. არხიმანდრიტს ეპისკოპოსად ტფილისში აკურთხებენო, ამბობს გაზ. ,,კავკაზი''.

⁂ 2 მარტს პეტერბურგს გარდაცვლილა გულის ფრიალის გამო თავა-

ფელეტონი

მეცხვარე თრიალეთზედა

—

... ცხორი ავდენე შირაქით
თრიალეთისა მთაზედა,
მეც მოქანცული, მოღლილი,
ჩამოვჯე ჩემდა ქვაზედა,
თვალ გადავავლე მინდვრებსა,
თვალ არ გადასწვდა განზედა,
ტურფად ჩანს აქით მთა-ველი,
უკეთ სხვა ქვეყანაზედა...
გალაღდა გული, გალაღდა,
ჩოლი ბარისგან სნეული,
აქებდენ თრიალეთის მთას,
კარგი ყოფილა, წყეული,
აქ მწვანეთ ღელავს ბალახი,
ჰჭრელავს ყვავილი რჩეული,
ხმაც ისმის ხარი ირმისა,
გაჰყვირის გადარეული!..
ცოტად მცხა, მაგრამ ნიავი
მეხვევა, მკოცნის გულშია,
ბროლივით წყარო წყურვილს ჰკლავს,
მზეს ჰფერავს ნაკადულშია,
ცხორი მაძღარი დაყრილა,
იცოხნის პაწა რულშია,
ნაკარდობს ბიჭა-ბატკანი...
მიყვარს, ჩავისომ სულშია!...
აღარ მწადს, აღარ, შირაქი,
არ მიყვარს მე იქ ტრიალი,
მინდვრები იქაც ბევრია,
მაგრამ ჩოლია, ტიალი,
ბალახს ხან თოვლი წასთელავს,
ხან ზედ ცეცხლს გააქვს პრიალი,
მაშინ უყურე მწყემსის პირს,
ცხვარმა რომ შექნას ზრიალი!...
არ მინდ შირაქის: შავი ხე,
ქარქვეტა, ბროწეულია,
წიწმატ-ბოლოკი, კაპარი,
თუთუბო მოწეულია,
გინდ მომცე ხირიმის თოფი,
ქამარზე მოწეულია,
თუ ჩემზედ ბედი მუშაობს,
ყისმათი მოწეულია...
რა მმართებს იორ-ალაზნის?
მათ ჩემი ცოდვა ჰკიდია:
ჩემი ბატკნები რამდენჯერ
მტკვრისათვის ჩაუზიდია,
ვერსად გაუხვალ იმ ოხრებს,
არსად არ უჩანთ ხიდია,
არც მეზობლები უვარგან,—
ბევრი ქურდი და ფლიდია!...
ჭირიმე თრიალეთისა,
ეს არის ჩემი სულია,
კალმახი იცის ოქროსი,
დაწინწკლულ-დაჩითულია,
ყველს მაძლევს, მატყლსა საჩოხეს,
რად მეჭირვების ფულია?...
მე უფულოდაც დღე-და-ღამ
მიმღერის ლაღი გულია!...

თ. რაფ. ერისთავი

საკვირაო სხარტულა

«ჩოთქში» ჩაგდება საჭიროა.—რას გპირდებით?—წასული კვირის გმირი.—ქალბატონი ძროხა და «სამეურნეო საზოგადოების» წევრნი.—პირველის სიტყვა უკანასკნელთა მიმართ.—რამოდენიმე სიტყვა ბ-ნის დ. სოსლანის «მოღვაწეობაზე».—როგორ შევხვდით რუსულ ტყაპუჭში გახვეულ «ივერიის» ფშაველსა და ჩვენი მასლაათი.—რა დამართა ჩვენს ფშაველს ბ-ნ სოსლანმა?—რა სახელი ჰქვიან ამ გვარ საქციელს?

—

კარგი რამ არის, თუ კაცი ბრმად არ მიჰყვება ცხოვრების გზას და ჩვეულებათა გაქვს გადაავლო მას ხან-და-ხან ფხიზელი და გამომცდელი თვალი. დასაბამიდამ, რაც ადამიანმა თვლა ისწავლა და «ჩოთქის» ყაირათი გაიგო, ანგარიში არაოდეს არ ყოფილა მეტი და გამოუდეგარი, ხოლო დღეს კი, და მემრე კიდევ ჩვენში «ჩოთქი» მეტად საჭიროა და პატივ-საცემათაც უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში ხომ ნამდვილია, რომ «უჩოთქობამ» უკვე გვაჩვენა თავისი თავი და ბევრი თავ-ალებული ბატონები ქანდარიდამ ძირს ჩამოაბძანა, მოდი ეხლა ისიც ვნახოთ, რას იზამს «ჩოთქის» პატივის-ცემა?!. მე იმას კი არ ვამბობ, რომ მაინც-და-მაინც ბომონი აუგოთ «ჩოთქს» და თაყვანი ვსცეთ-თქო,—არა, ნუ ავარიდებთ მხოლოდ თვალს და წიხლს ნუ ვკრავეთ ზიზღით, — ესეც საკმარისია..

— ყველა—ყველაო, იტყვის მკითხველი, მაგრამ ეს ჩვენი მეფელეტონე ხომ არ გამდიდრებულა, რომ «ჩოთქზე» და ყაირათზე ჩამოაგდო ლაპარაკიო.

— მეტად არ გამდიდრდეს და გადოვლათდეს თქვენი მტერი და დუშმანი! და ან კი რამ უნდა გაამდიდროს მეფელეტონე?! თქვენგან არ მიკვირს,—მეფელეტონე და სიმდიდრე!.. ეს ორი—ცეცხლი და წყალია, ე. ი. სულ სხვა-და-სხვა, ურთი-ერთთან შეუთანხმებელი და მოუთავსებელი. კი,—მოგეცათ სილაღე, მეფელეტონეს ხანდა-ხან ძალიანაც უყვარს სიმდიდრე, მაგრამ, ვაი რომ სიმდიდრე არაოდეს არ ეტანება მეფელეტონეს. ეს კანონი განლავსთ და მტკიცე კანონიც, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც მეფელეტონეს ერთად-ერთი მაკეთე და მოსიყვარულე მხოლოდ მისი კალამი და რედაქციის თანხა აქვს... ნეტავ! არა! სიმდიდრე რას მიქვია?! მარტო სიმდიდრისთვის კი არ მიმაჩნია «ჩოთქი» საჭიროთ,—«ჩოთქი» ყველგან «ჩოთქია», ერთ-გვარად გამოსადეგი, როგორც მდიდრისა, ისე ღარიბისათვის. პირველს, მაგალითად, შეუძლია იანგარიშოს იმით ფული, მეორეს კი გამოიყენებს «ჩოთქს» კიდევ უფრო სხვა საგნისათვისაც. აი ვსთქვათ, მე, მეფელეტონეს, რა უნდა მქონდეს საანგარიშო, მაგრამ დაჰხედეთ, რომ მეც კი დამჭირდა ანგარიში. მოდი ერთი, ვსთქვი, მკითხველებს გავუწევ მეგობრობას და მათ საანგარიშებელს მე ვიანგარიშებ, მე მივაწოდებ მათ გადასათვალიერებლათ ჩვენის ყოველ კვირის ცხოვრების შესანიშნავ ფაქტებს. როგორ? რისთვის? განა ჩვენში არ არიან შესანიშნავი თუ? ჩვენ არა გვყავს საზოგადო და კერძო მოღვაწენი, რომელთა სახელი და დიდება ,,სათანადო არს'' შაინახოს შთამომავლობისათვის? განა, ნუ თუ ჩვენ არ გვაბადია იმდენი თავ-მოწონება, რომ იგინი ჩვენად ვსცნოთ და ვინუგეშოთ იმით თავი? გმირები, ჩვენი თანამედროვე გმირები,—ნუ თუ მათ არ ეკუთვნით თავისი მგოსანი? რა საკადრისია! როგორ შეიძლება!.. მათი ფერხთა მტვერი, მათი მადლმრთეზელი, მე ვილებ კისრად ამ მძიმე ტვირთს და, თუმცა არა ,,ხმითა მით უზენაესითა'' (,,ჩემო ციცუნ, ჩემო კუკუნ!...'', ,,შენს საკრმელს ქვეშ ვეგდებოდე, გოლძერ'' და სხვა), მაგრამ ,,შეურაცხ-ჰყოფილი პროზითა'' მაინც შევასრულებ ამ წმინდა მოვალეობას... დღეის იქით ყოველ კვირეს მე ვეცდები წარვუდგინო მკითხველს იმ კვირის ანგარიში, თუ ვინ და რით ისახელა თავი შვიდი დღის განმავლო-

დი გიორგი ივანეს-ძე გრუზინსკი. თავადს ბევრი ლიტერატურული ნაღვაწევი დარჩენია, როგორც გაზეთები ამბობენ.

⁂ შუშაში, როგორც გაზ. «Нов. Обоз.»-ს სწერენ, ერთს ადლზედ თოვლი დაუდვია. ბევრს ახლო-მახლოს სოფლებთან მისვლა-მოსვლა შესწყდა და ამის გამო ყველა ხორაგეულობა დაძვირდაო. მაგალითებრ, პური, რომელიც ჩვეულებრივ 50—70 კაპ. ჰღირდა ფუთი, მანათად და მეტადაც ისყიდებაო.

⁂ გაზ. «ნორ-დარსა» სწერენ სოფ. განზანდიდამ (ელიზავეტ. მაზ.), რომ ერთმა ახალ-გაზდა თათარმა 30 კაპ. გულისთვის ერთი ოქრო-მჭედელი მოჰკლაო. მოკლულს უგრონოდ და უმემწეოდ ცოლი და ორი შვილი დაუტოვებია. დამნაშავე დატუსაღებულია.

—

⁂ თავად ივანე არღუთინსკის-დოლგორუკოვს, რომელსაც 7-დე განყოფილების პრისტავმა უჩივლა, რომ ეზოს სუფთად არ ინახავდა და საჭიროების ადგილი რიგზედა და სუფთად არა ჰქონდა გამართული, 4-ხე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლემ ხუთი დღე დამწყვდევა გარდაუწყვიტა. ეს გარდაწყვეტილება 6 მარტს აღსრულებაში იქმნა მოყვანილი.

⁂ 7 მარტს პოლიციის მე-8 განყოფილების გარადავოის დაუჭერია ტფილისის მცხოვრებელნი: ივანე ბეზრუკოვი, ზაქარია ნათაძე, ალექსანდრე ვერონინი და ახალ-ციხის მცხოვრებელი მიხეილ შუშაბერიძე, რომელთაც მჭედლის ყაიდის თოფის ტყვიებით სავსე პარკი ჰქონიათ, 2 ფუთის ოდენა. გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ტფილისის არსენალიდგან ხსენებულ პირებს 12 ფუთი და 20 გირვანქა ამ ტყვიებისა მოუპარავთ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 7 მარტს ნიკიტინის ცირკში წარმოდგენის დროს ცხენისაგან მოგლეჯილს ნალს შუშის მცხოვრებელ გრიგოლ ჩაზინოვისთვის ცხვირის გაკნატელა ჩაუმტვრევია. დაზიანებულს მედიცინური საშუალება აღმოუჩინეს.

⁂ 7 მარტის ღამეს, პოლიციის მე-10-თე განყოფილებაში მორიგე უნტერ-ოფიცერის პრაკოფი შესტაკოვის სადგომის გარეთ კარების კლიტე გაუტეხიათ და სხვა-და-სხვა ნივთები და ვერცხლის საათი გაუტანიათ—სულ 110 მანათისა. დამნაშავის საპოვნელად და დაკარგულის ნივთების აღმოსაჩენად ღონის-ძიებაა მიღებული.

⁂ პოლიციის მე-4-ხე განყოფილებაში, 6 მარტს, ველიამინოვის ქუჩაზედ, ნაზარბეგოვის სახლებში, სპარსეთის ქვეშევრდომის ალი-აბკარ-აბდულრახმან-ოღლის ხილის საწყობის კარები გაუტეხიათ ნახიჩევანის მცხოვრებელს იბრაგიმ-კალბალაი-ოღლის და ახალ-ციხის მცხოვრებს არტემ კაზასჩევს და შესულან შიგა გასაქურდავად. ორივე გარადავოის დაუჭერია რკინის ლომით ხელში. გამოძიება სწარმოებს.

ნაკვესი

ერთს ქართველს თავადი-შვილს ტფილისში უსესხნია ერთის ქართველის აზნაურ-შვილისაგან სამოცი თუმანი. ერთს დროს ერთმანეთს შეხვედრიან პეტერბურგში. დავალებულს ფული შესწრობია, ავლია და მადლობით შეუძლევია აზნაურ-შვილისათვის.

— აი ხელი არ უნდა მამტყდეს, რომ ჩემს მოძმე ქართველს ფული გამოვართვა ამ შორს ქვეყანაშიო, უთქვამს სულ-გრძელს აზნაურს და არ გამოურთმევია ფული, თუმცა თავადი-შვილს ბევრი უხვეწნია, გამომართვი, თორემ მერე იქნება ვეღარც შევძლო შენის ვალის გადახდაო.

გასულა რამდენიმე ხანი და ეს ორი მართლა-და იშვიათნი ქართველნი ტფილისში მოხვედრიან ერთმანეთს. აზნაურ-შვილს უთქვამს:

— ახლა კი დროა ჩემი ფული დამიბრუნოვო.

— აი ხელი არ უნდა მომტყდესო, რომ ჩემს ქვეყანაში ფული ვისმეს დავუბრუნოვო,—უპასუხნია თავადი-შვილს.

ახალ-ახალი ამბები

—

ქუთაისი

ავდარში ტალახით ქმნული და დარში მტვრით განთქმული ქუთაისი, მით უფრო მოსაწონია, რომ აღმოსავლეთის ცხელი ქარი უსუსტრად ბდღვიარს ადენს!. გიჟი ჭაერი ბუნებას აგიჟმაჟებს და თვით დარბაისლური ინგლისური ბარომეტრებიც კი «ასკიკუმუს» თამაშობენ.—ოდესმე ფაზისობით ცნობილი რიონი, ქუთაისის შუა მდინარე, ხან მიწასთან გასწორებული, სიმდაბლით მიიპარება შავის ზღვისაკენ და ხან უეცრად გადიდგულებული, მუქარით შემოჰღრიალებს «მედიას» დედა-ქალაქს და თანაც გრიმანჭულად მიეგრიხება დაწმაწნულ—კიდეებს. აქ ცეცხლსაც არ გააჩნია დრო და ხშირად მოულოდნელად იჩიატებს ხოლმე, აგენტების პირის გასანათლებლად.—ჭაერი, მიწა, წყალი და ცეცხლი ყველა ერთად სტიქიონურად თვისის უკანონობით კანონიერად შეთანხმებულნი, სულიერებსაც ზედ-გავლენით ესარგებიან. ქალაქი ქუთაისი იყოფა ორ ნაწილად: დაბლობად და მაღლობად, ანუ, გორად და ვაკედ.—გორა-ნაწილი სიხარბით დაჰყურებს მაღლიდან ვაკეს და გულზე სქდება! ვაკე შურით შესცქერის გორას და მწუხარების ოხშივარი ასდის... საკვირველია, რათ შესხერებიან ერთმანერთს სიხარბით, მაშინ როდესაც თავ-თავის ადგილზე ორივე კარგათაა? მისთვის რომ ადგილობრივ—საზოგადო კანონებს ექვემდებარებიან. აქ, ამ ქვეყანაში, გამოითქვა პირველად ის ჭეშმარიტება რომ «თვალები, თუ შუაში ცხვირი არ ედგასთ და არ იყოფდენ, ერთმანერთს გაათუჭებდნენ და მსვლელობას დააკლებდენო».

ამ ბუნებით—ედემს, ამ კოშწია ქალაქს, ორი განსაკუთრებითი გასართობი ადგილიცა აქვს: გაღმა-ბაღი, ფერმად წოდებული, სადაც გაზაფხულზე—მაშინ როდესაც ჯოჯოხეთიც არ უნდა იყოს მოსაწყენი—დროს გატარება შეიძლებაო... და გამოღმა—ბულვარი, ანუ, «ხრიკის მოედანი», სადაც გრძნობა—გონება ზღვასავით ჰღელავს, მაგრამ ტალღები კი მენავეებს ტალახიან კიდეებზე გასტყორცნიან ხოლმე.—ამ ქალაქის სიმდიდრეს, ამ მოედანს, დღეს რკინის გალავანს ავლებენ შიგა-და-შიგ თლილი ქვის სვეტებით. ეს სვეტები საოცრად ჰგვანან სასაფლავო მეგლებს... მე დავთვალე და მათი რიცხვი სწორედ იმდენი გამოვიდა, რამდენიც ხმოსანია საქალაქო საბჭოში!... უმთავრესი ქუჩა არის «ორპირის» ქუჩა, ანუ, ესრედ წოდებული, «ზალიკოს-ტკეცილი» და საშვილი-შვილოთაც არის გაკეთებული: ტალახის გასაქარწყლებლად რიონიდან ამოიტანეს დიდ-დიდი რიყის ქვები და ზედ ადლ-ნახევარზე მტვერი დაჰყარეს, დატკეპნეს და დასძახეს: აბა ახლა კი «გასწი-გამოსწი გუთანოო!» გონიერად განაგეს, მაგრამ შეუბრალებელმა ზენა ქარმა აღგავა პირისაგან ქვეყნისა და ობლად დაშთენილი ქვები შიშვლად წამოყუნტულან აქა-იქ, პირი რიონისაკენ უქნიათ, თვითქოს სამშობლოშივე აპირებენ გაპარვას, რომ პოლიციის არ ეშინოდესთო. დიდი სიფრთხილე მართებს კაცს, რომ ზედ წვივი არ მიიმტვრიოს!... ამ გვარად ადრინდელ ტალახსა და მტვერს დღეს ქვებიც მიემატა და ვისაც ქუთაისში ცხოვრება ჰსურს, სამი რამ უნდა შეიძინოს: ახლემი, თოფრა და თურმანიძე... ახლემი—ავდარში, რომ ზედ შეჯდეს და თავი არ დააღრჩობინოს ტალახს, თოფრა — დარში, რომ პირი აიკრა და მტვერმა აღარ გაგუდოს და თურმანიძეც წვივის ექიმათ!—აი გარეგანი სახე ქუთაისის!.. ახლა გავიცნოთ შინაგანიც!...

მცირად სადმე მოიპოვება ქალაქი, რომ ქუთაისს შეედაროს მოუწყობრობითა და მოძრაობით: აქ ყოველივე მოძრაობს, ყველა მოქმედობს, დიდი და პატარა საქმეს აკეთებს, მაგრამ ნასაქმი და ნამოქმედარი კი არსადა სჩანს. რა მიზეზია? მე არ შემიძლიან რომ პირ-და-პირ რამე გსთქვა; ორ-გულობას, მოღალატობას შემომწამებენ და, თუ ისურვებს მკითხველი, ერთ უცხოელ-კაცის შენიშვნებს წარმოვადგენ.—ქუთაისში, სასტუმროები სტუმრებზე მეტი არიან, მაგრამ ყველაზედ უფრო სახელ განთქმულია «კოლხიდა», ანუ «ზავთრას» სასტუმრო.

შეუძლიან მოგზაურს აქ ჩამოხტეს, იცხოვროს დამშვიდებით და როდესაც ანგარიშს მოსთხოვენ «ზავთრათი» გაასტუმროს სასტუმროს პატრონი. და როდესაც ეს ნათელ-მოსილი «ზავთრა» მეტის მეტად გაიშლის კუდს ფარშავანგივით, მაშინ სასტუმროს პატრონი პირ-აქეთ შეევედრება: «თუ შეიძლებოდეს დავანებოთ თავი მაგ «ზავთრას», რადგანაც დღეიდან აქ აღარ ედგომება, სხვაგან გადადისო და გადასასვლელ ფულს მისცემს. აი ამ სასტუმროში ჩამოხტა ერთი ვიღაც უცხოელი; გამეცნო მე, როგორც ერთ მეზავთრეთაგანს და მთხოვა ქალაქი გამაცანიო. ეს ისეთი თხოვნა იყო, რომ «ზავთრა» აღარ მოუხერხდებოდა და გავჰყევ მეც.—დილა იყო. ხალხი ჩვეულებრივად მიეშურებოდენ აქეთ-იქითა.

«ცეცხლი ხომ არ გაჩენილაო, რომ ასე აშფოთებით გარბი-გამორბის ხალხიო! მკითხა თან-მოგზაურმა.—რა ბძანებაა: განა ცეცხლი ისეთი სულელია, რომ დღე გაჩნდეს და მზის სხივებს თავი დააჩაგვრინოს მეთქი? ვუპასუხე.—არა: იმან იცის დრო, როდესაც უნდა გამობრწყინდეს და ნაშუაღამევამდი იმალება მეთქი.—გაკვირვებით შემომხედა უცხოელმა და განაგრძო—მაშ სად მიეშურებიან!

— სასამართლოებში და ნოტარიუსებთან!

— ხომ არ იქცევიან სახლები?—

— არა. მხოლოდ ერთმანერთს უპირებენ დაქცევას.

ბაში, რა საგნებმა წამოყო თავი და მიიზიდა საზოგადო ყურადღება და სხვა,—ერთის სიტყვით, რით იჩინა თავი ჩვენმა ცხოვრებამ ამ მოკლე ხანში. წინასწარ ვითხოვ ბოდიშს მკითხველებთან, თუ ჩემი საკვირაო ანგარიში ხშირად უფერული და ჩემი გმირები ხან-და-ხან ცოტა არ იყოს სასაცილო იქნებიან. რა ვჰქნათ, რაც არის იმას დავჯერდეთ და საბერიკაო კაცებს თუ ჩავახედებთ სარკეში, ნუ ვიტყვით, რისთვის ნამდვილი გმირები არ მოსჩანან შიგო?!.. დავით გურამიშვილისა არ იყოს,

«ვინც არ არის კახაბერი,
ჩვენ ვერ ვიტყვით კახა-ბერად!..»

⁂

მაშ, ეხლა, ვინ იყო გმირი წასულ კვირისა?—ქალაქის რჩევა?—არა! ჟურნალ-გაზეთობა?—არა! «წყალის-გამომყვანი კომისია?» არა! ჩვენი დრამატიული დასი?—ვერ ჰამა კატამ ნიორი,—არა! «დრრრრამატიული საზოგადოება»? ჰერი-ჰა, არა და არა!

— მაშ, ვინ?—სულ უბრალო ვინმე, ის მადლიანი ოთხ-ფეხი, რომელიც არც «რეჩებს» ლაპარაკობს უთავბოლოდ, არც მომაკვდინებელ «დრამებსა» სწერს «ჩვენის ცხოვრებიდამ», არც არდგენს ამ «დრამებს», არც საქველ-მოქმედო კონცერტებს აწყობს, მაგრამ ყველა ჩვენ «დრამატურგებზე», «ორატორებზე», და, თუ გნებავსთ, სა—«ციცუნ-კიკუნო» პოეტებზედაც-კი უფრო დიდი სარგებლობა მოაქვს ყველასათვის,—ვინ არის ეს გმირი?!—ძროხა, ბატონებო, ძროხა!.. დიაღ, ბ-ნის აქტიორების სცენიდამ ჩამოსვლისა და დიდმარხვის დაწყებისათანავე ეს დიდად-პატივცემული მანდილოსანი აბრძანდა სცენაზე და სულ არა სადიდ-მარხვო საგანზე აალაპარაკა ტფილისის «სამეურნეო საზოგადოების» წევრნი... ეს უკანასკნელნი, არ ვიცი, რა მიზეზით,—შეიძლება ცერცვის და ლობიოს შიშით,—გაიმსჭვალენ სრულიად უდროვო სიყვარულით რძისადმი...—რძეო! გაჰკიოდენ ისინი, ჰმ!.. საბრალო რძე!.. რას არ სჩადიან ეს ულმერთო და უსვინიდისო ვაჭრები, რომ შებღალონ მისი სახელი და გააცუდონ მისი თვისებანი!.. რაებს არ ურევენ შიგ, რით არ აზავებენ ამ მადლიან და სასარგებლო სასმელს?!. ერთის სიტყვით, «ენა დაშრების მსმენლისა, ყურნიცა დაეღლებიან», რომ მოგიყვეთ და გადმოგცეთ დაწვრილებით თავ-გადასავალი რძისა... «სამეურნეო საზოგადოების» წევრებს დიდის გულ-მოდგინეობით შეუსწავლიათ ეს საგანი და, თუ გნებავსთ, თითებზე ჩამოგითვლიან, ვინ და რა გზით უბღალავს სახელს ტფილისელ ძროხებს. სხდომის დღეს ისინი დაურიდებლად ართმევდენ პირიდამ ერთი მეორეს სიტყვას და ლაპარაკობდენ, ლაპარაკობდენ გაუთავებლად... ერთის მხრით ეს, რასაკვირველია, მეტად კარგი და მოსაწონი საქმეა, მაგრამ, მეორეს მხრით, შეურაცხ-ჰყოფილი ძროხები, ბოსლებში რომ არ იყვნენ ეხლა მომწყვდეულნი და «სამეურნეო საზოგადოების» დარბაზში შესვლაზე ნება დართულნი იყვნენ, ბევრს მკვახე სიტყვებს ეტყოდნენ ამ «საზოგადოების» წევრებს.

— ბატონებო, წარმოსთქვამდენ ისინი მაგალითად, ჩვენ დიდად დავალებულნი ვართ იმ სიტყვებით, რომელიც დაიხარჯა აქ დღეს ჩვენდა სასარგებლოდ და კიდეც გიძღვნით გულითადს მადლობას მთელი რქოსანთ საზოგადოებისაგან, მაგრამ... მაგრამ, სჯობს მოვიხმაროთ გულ-წრფელობა, და თბილისელ ვაჭრებს მარტო ნუ დავახვევთ თავზე იმ დანაშაულობას, რომელიც მიუძღვის ჩვენ წინაშე მთელ ორ-ფეხ საზოგადოებას და, განსაკუთრებით, თქვენ, მოწყალენო ხელმწიფენო!.. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ პირ-ნათლად და სინიდისიანად ვასრულებთ იმ მოვალეობას, რომელიც კისრად გვდო და გვავალა ბუნებამ. ბევრნი ჩვენნი სრულიად ულმობელად ექცევიან თავიანთ საკუთარ ხბოებს, რომელნიც, როგორც კარგად მოგეხსენებათ, თითქმის არაფრით არ ჩამოურჩებიან უკან ზოგიერთ ორ-ფეხთ, და გკვებავენ მშვენიერის საჭმელით თქვენ და თქვენ შვილებს. ახლა ისიც ბრძანეთ, რას გვიძღვნით სამაგიეროს ამ სამსახურისათვის?—ან გვაძაგებთ და ცილს გვწამებთ, ან და სრულიად ყურის თხოვებასაც არ გვაღირსებთ!.. თუ ეს ტყუილია, აბა, გამოტყდით ბატონებო, ხომ ბევრს თქვენთაგანს, რა-კი გაუშინჯავს თავისი მოძმე ორ-ფეხთაგან მოწამლული ჩვენი რძე, შეუკურთხებია ჩვენთვის უსაფუძვლოდ? ხომ ერთს თქვენგანს არ მოსვლია ამდენ ხანს ფიქრათ გამოიძიოს, რა არის ნამდვილი მიზეზი აქაურის რძის უვარგისობისა, ან და რა გზით და რა საშუალებით შეიძლება ამ ბოროტ-მოქმედობის მოსპობა? საჭირო იყო, რომ მთელი წლების განმავლობაში მოგეწამლათ თავისი და თავისიანების თავი, რომ ბოლო დროს მიმხვდარიყავით თქვენ სიწამხდრეს... და ეხლაც... განა რამე საფუძვლიანი შედეგი ექნება თქვენს ბაასს და ლაპარაკს? განა რამე რიგიანი გამოვა ამ თქვენი სხდომიდამ?—ვეჭვობ!.. დიდად ვეჭვობ, ბატონებო! თქვენ, რასაკვირველია, არა ერთხელ მოიყრით კიდევ აქ თავს, არა ერთს სიმართლეს იტყვით შესახებ ვაჭრების გაიძვერობისა და... გაათავებთ ამით საქმეს!.. მართალია, თქვენ თეორიტიულ სჯაში აქა-იქ პრაქტიკული მოსაზრებანიც იქნებიან ჩართული—მაგალითად, თქვენ, როგორც დღეს, მრავალ სიტყვებს დახარჯავთ მასზე, თუ რა და როგორის ზომების მიღებაა საჭირო, რომ აღმოფხვრათ ზეზემოხსენებული ბოროტ-მოქმედება. ილაპარაკებთ ბევრს სხვა-და-სხვა ფერმების გაშენებაზე, რძის გასაშინჯ იარაღებზე, ზედამხედველებზე, მაგრამ ეს ლაპარაკი ფუჭ ლაპარაკათ დარჩება. ტფილისელი ვაჭრები გაისად და გარმეისადაც იმ გვარივე შეზავებული რძით მოგიწამლენ სიცოცხლეს, როგორც აქამდის, ჩვენი სახელი და პატიოსნება სამერმისოდაც ისე შებღალული და შეგინებული იქნება, როგორც დღემდის, ხოლო ნამდვილი მიზეზი ბოროტებისა კი სამუდამოდ დარჩება... «გარემოცული ჯანყითა და ბურუსითა», როგორც ბრძანებს «იევერიისაგან» ყბად-აღებული, თქვენგან უსამართლოდ არ ხსენებული და დავიწყებული, ხოლო ჩვენში კი დიდად პატივცემული კრიტიკოსი «თეატრისა»...

⁂

თუ ასე არა, სწორედ ამ გვარად ილაპარაკებდა ოთხ-ფეხი თაყვანისმცემელი ბ-ნის კვთელისა, ხოლო რას იტყვის ორ-ფეხი მისი მეგობარი და თანამოკალმე ბ-ნი დ. სოსლანი ერთის მეტად გასაოცარის საქმის შესახებ, ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით და, იმედია, კი გავიგებთ, როცა იქნება. ეს «მე-

— მერე და რა სარგებელი აქვსთ?

— არაფერი. მხოლოდ გულს იამება.

— ჰმ! მაგას ეძახიან საქმეს? ეგ არის შრომა?

— დიახ, ქვეყნის წესით და შესედულობით!

— მერე, პატიოსნება?

— უბრალო რამ ოცნება!

— შრომა ყოველ დღიური?

— თარეშობაა მგლური!

— მაშ გრძნობა და გონება?

— ჭორების მოგონება!

— სწავლა და განათლება?

— აქ დიდ-ცოდვათ ითვლება!

— მაშ როგორღა სცხოვრობენ.

— ჭორობენ და ჭორობენ.

— თვითონ შენ რაღას უცდი?

— ერთხელაც წითლად ბედსა ვსცდი.

— რომ გამოდგეს ოცნება?

— ეგ იქნება ღვთის ნება!...

აქ ღვთის ხსენებაზე ლოტრანგმა პირჯვარი გამოისახა და მითხრა: კმარა, მეტს ნუღარას მეტყვი დღეს და ხვალ კი ყველა თვითოეულათ გამაცან... მიამბე მათი ვინაობა და მათი თავ-გადასავალიო. მეც აღუთქვი, და იმედი მაქვს შევასრულებ სიტყვას!... მოემზადეთ, ბატონებო უნდა გამოგზვდოთ და ნურას უკაცრავად.

აკაკი

დამკვირდი!

კარგი მაგალითი წესზედ უკეთესია.
(ბერნარდენ დე-სენ-პიერი)

* * *

უქმი კაცი ცხოველია, დრო და ჟამის მჭამელი. (დე-გურსელი)

* * *

სინიდისი სამსჯავროა, რომლის წინაშე ადამიანი ერთსა და იმავე დროს თავის თავის ბრალმდებელიც არის, მოწამეც, მსაჯულიც და ჯალათიც.
(და ლუცერნი)

* * *

დიდს ჭირსა თუცა შეგაბამს
შენ მტერი გონიერია,
უჭკვოს მოყვარეს ისიც სჯობს—
ჭკვის მყოფელი მტერია;
უცებ რასაც გიმოყვრებს,
ვაი, ბზე ნარევი მტვერია,
უნდა თუ გარგოს, რას გარგებს?
თუ გარგო, არა ივერია.
(მეფე ვახტანგ VI)

* * *

მუშაკი დღეის საქმისა,
ხვალისა მდები, სცდებისა:
მის მის დღის საქმე მის დღეს სჯობს,
რადგან სოფელი ცვდებისა.
(არჩილ მეფე)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლოს დროს ბალკანის ნახევარ-კუნძულზე ვიღასიც უცნაურის ხელ-შეწყობით საქმე ისე დატრიალდა, რომ... რუსეთის გაზეთები ძალიან სწუხან ამის გამო და აი გაზეთი «Свѣтъ»-ი სხვათა შორის რას ამბობს:

> ბუქარესტში გარდაწყვეტილი ხელ-შეკრულობა ისე დაატრიალებს საქმეს, რომ .. როდესაც სერბ-ბოლგართ შორის შუღლი და განხეთქილება ჩამოვარდა, გერმანია ძალიან სწუხდა, რომ რუსეთს დიდი გავლენა აქვს ბოლგარებზეო. რუსეთმა თავის ნებით უარ-ჰყო ბოლგარია. ეს ამბავი მოხდა ამ ექვსი თვის განმავალობაში. აი მოკლეთ ამ ხნის მთელი ისტორია.
>
> ნათქვამია: «ძმა ძმისთვისა ამ დღისთვისაო». რუსეთი ყოველთვის ამ ანდაზას მისდევდა და ძმისთვინ თუ მეგობრისთვინ არაფერს ჰზოგავდა, მუდმივ გულ-კეთილობას იჩენდაო, ეხლა კი დროა, მოვსპოთ, თავი დავანებოთ ამ ჩვენ გულ-კეთილობას ჩვენ მეგობრებთან მაინცო; თორემ ჩვენის საკუთარის ხელით გაფუჭებთ საქმეს და სლავიანების ტომებს ერთი-ერთმანეთს გაშორებთო. დღე, ვენაში და ბერლინში გამოუდგნენ ამ გვარ საქმეებს. ჩვენ კი, თუ პირდაპირ შეწევნას ვერ აღმოუჩენთ სლავიანებს, თუ ეხლაც საქმეებში სრულიად არ გვინდა გავერიოთ და ვეცადოთ, რომ სლავიანებმა მტკიცე ერთობა შეადგინონ, მაშ ჩვენ მეგობრულ და ძმურ განწყობილებას მაინც ნუ მოვაკლებთ ჩვენს თანამოძმეთაო. თუ სიკეთეს ვერს ვუზამთ, ცუდს მაინც ნურას ჩავიდენთო.

* * *

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ჩამოგვიგდია ლაპარაკი იმ მუდმივ ჩივილზე, რომელიც ეხლა ყველგან გაისმის, რომ მამულებმა ლამის თან გადაგვიტანონო, ხვნა-თესვა სარგებლობას აღარ იძლევაო. ამ გარემოებას უმეტეს ნაწილად უფულობას აბრალებენ. ეს მარტო ჩვენში კი არ არის,—რუსეთშიაც ერთ-ხმივ სულ ამას გაიძახიან. გაზეთ «Новороссійскій Телеграфъ»-ში ვიღაც ბ-ნი ნერუჩევი ამის გამო აი სხვათა შორის რას ამბობს:

> მიწისა და ფულის უქონლობა ერთად-ერთი მიზეზი არ არისო, რომ ხვნა-თესვის საქმე ჩვენში ასე დაეცაო. ჩვენ, პირ-იქით, ხშირად გვინახავსო, რომ კაცს მიწაც საკმაოდ ჰქონოდეს, მამულის გასაკეთებლად ფულიც ბლომად დაეხარჯოს, არც შრომა დაეზოგოს, მაგრამ საქმით მაინც ვერაფერი გამოსულიყოს, შრომასაც მუქთად ჩაევლოს და ბოლოს-და-ბოლოს მამულს მაინც თან გადაჰყოლოდესო. ეს დიდი უბედურებააო, და ამიტომ მიწის პატრონების ჩივილს უნდა ყური ეთხოვოსო. მხვნელ-მთესველების გაჭირვებას, როგორც იყოს, უნდა ეშველოსო, და, ცხადია, სჯობს ისეთი სალსარი ამოვუჩინოთო, რომ ჩვენმა შველამ სარგებლობაც მოუტანოს საქმეს და საბოლოვოდაც რიგიან გზაზე დააყენოსო. ამის მისაღწევადაო, ამბობს ბოლოს ავტორი, მე საუკეთესოდ მიმაჩნია, ხელი შეუწყოთ იმ გვარ დაწესებულებათა, რომელთაც შეეძლოთ დაჰბადონ მწარმოებელი ძალა, ყველგან მოჰფინოს ეს ძალა, გაამრავლონ სამეცნიერო ცოდნა, ურომლითოდაც მამულის მოვლა, სარგებლობა და რიგიანი წარმოება ყოვლად შეუძლებელიაო.

თუ ჩვენ მკითხველებს ახსოვთ, წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ: ცოდნა და შრომა, და მხოლოდ ცოდნა და შრომა უნდა მამულის მოვლას და წარმატებას.

* * *

ამ დღეებში გამოვიდა მე-33 ნომერი გაზეთი «Русь»-ისა და ეს ნომერი უკანასკნელია, რადგანაც გაზეთი სრულიად მოისპო. ამ ნომერში სხვათა შორის დაბეჭდილია რამდენიმე სიტყვა, რომელიც გაზეთის რედაქტორის, გარდაცვალებულ აქსაკოვის საფლავზე წარმოთქმულა. ზოგი ერთი ამ სიტყვებში წარმოთქმული აზრი იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ, ჩვენს მკითხველებსაც ვაცნობოთ.

აი, მაგალითად, პროფესორს ბარსოვს რა უთქვამს:

> აქსაკოვი ჭეშმარიტი და ერთგული ქვეშევრდომი იყო, თუმცა მონაობა კი სძულდაო; იგი იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც კლდე, და ჯიუტობას კი ვერავინ დასწამებდა; გულ-წრფელად უყვარდა თავისუფლება, კაცის კაცურ ღირსებას და უფლებას მტკიცედ იცავდა, თუმცა კაცის მოვალეობასაც არ ივიწყებდაო. აი ეს სულის სიმაღლე, ეს შეუბღალავი მისი ზნეობრივი ბუნება აყენებდა მაღლა რუსის მწერლობაში და განსაკუთრებით პატივს სდებდა მის მოღვაწეობასაო.

გარდაცვალებულს აქსაკოვს გულ-წრფელად უყვარდა ახალ-გაზდობა, კარგად ესმოდა მისი გატაცებული, თავ-შეუკავებელი ბუნება, რომელსაც ხშირად ბევრი შეცდომა მოსდევს. აქსაკოვი ამ გვარ შეცდომას არასოდეს არ ჰკიცხავდა,—პირ-იქით, ამბობს ვიღაცა ახალ-გაზდა ბ. გ.,

> ის მამულის სიყვარულით აფთხილებდა ახალ-გაზდობას მეტის-მეტი გატაცებისაგან, ურჩევდა ცრუ-ლიბერალურ და სხვა-და-სხვა მაცდურ სწავლა-მოძღვრებას ნუ მისდევთო, ჰფარავდა და ჰსარჩლობდა იმ ტყუილ-მფარველ-მოსარჩლეთაგან, რომელნიც მტრებზე უარესად სწამლავდნენ ახალ-გაზდობის სიცოცხლეს. ის გვასწავლიდა, როგორ უნდა სამშობლოს და ერის სიყვარული, გვიჩვენებდა, გაგვეცნო ერის გონებითი მოქმედების განძი, შეგვესწავლა მისი წარსული და მრავალ-ტანჯული თავგარდასავალი, ღრმად დავფიქრებოდით ჩვენს აწინდელ ცხოვრებას, გარემოს, რომ ცხოვრების გარეგან, მაცდურ მხარეებს არ გავეტაცნეთ, ცრუ-წინასწარ-მეტყველების, ცრუ-მოძღვრების სიტყვას არ მივყოლოდით. მერე, ახალ-გაზდობა უსმენდა ამ გამოცდილ და გულ-წრფელ [illegible]? სამწუხაროდ ძალიან იშვიათად [illegible]! და აი ეს სამწუხარო გაუგებრობა იყო იმის მიზეზი, რომ მის და ახალ-გაზდა მამულის შვილებ შუა რაღაცა კედელი აეუდა და ერთმანეთის ხმას ვეღარ აგონებდნენ. აი ესვე მიზეზი იყო, რომ გარდაცვალებულს ისეთს ცილსა ჰსწამებდნენ, რომელიც მას განზრახვაშიაც არა ჰქონია.

* * *

სოლომონ ბრძენები, როგორც სჩანს, ჩვენ დრომდიაც ყოფილან. აი გაზეთებს მოჰყავთ ერთი საფრანგეთის მომრიგებელ-მოსამართლე, რომელსაც ერთის საქმის გადაჭრაში მართლა რომ დიდი სიბრძნე გამოუჩენია.

> ვიღაცა ცოლ-ქმარს ათი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ გაყრა მოუწადინებიათ. მოსამართლესთან მისულან და თავიანთი საქმე შეუჩივლიათ.
>
> — შვილები გყავთო? უკითხავს მოსამართლეს.
>
> — როგორ არა, სამი გვყავს: ორი ვაჟი და ერთი ქალიო. ჩვენც ამიტომ მოვედით თქვენთანაო. ჩემ ცოლსაც ორი შვილი ჰსურს თან გაიყოლიოსო და მეცაო; არ ვიცით როგორ მოვახერხოთო.
>
> — მაშ კარგიო, უთხრა მოსამართლემ, დაიცადეთ, მანამ მეოთხე შვილიც გეყოლებათო,—მაშინ თანასწორედ შეგიძლიანთ გაიყოთო შვილებიო.
>
> ცოლ-ქმარმაც დაუჯერა. მოსამართლეს ამის შემდეგ ამათზე აღარაფერი ამბავი გაუგონია. ორის წლის შემდეგ მოსამართლე როგორღაც შეჰხვდა ქმარსა და ჰკითხა: «თქვენი საქმე, რითი გაათავეთო?»
>
> — ეჰ, ბ-ნო მოსამართლევ, გაყრაზე ვილა იფიქრებს; ეხლა ტყუპი გვეყოლა, და კიდევ შვილები კენტათა გვყავსო.
>
> — მაშ კიდევ დაიცადეთ, მანამ მეექვსეც გეყოლებათო, უთხრა სიცილით მოსამართლემ.

რუსეთი

სასჯელი დამნაშავეთათვის იმიტომ არის დაწესებული, რომ დამნაშავეს იმოდენა ტანჯვა მიეწყოს, იმოდენა უსიამოვნება მიეყენოს, რაოდენიც შეეწონება მის დანაშაულობას. ერთი სას-

---

ტად გასაოცარი საქმე» მე, ცოტა არ იყოს, მაწუხებს და ამისათვის საჭიროა მოველაპარაკო მასზე მკითხველს.

უნდა მოგახსენოთ პირველ ყოვლისა, რომ მე ფრიად დიდი და გატაცებული თაყვანის-მცემელი ვარ ბ-ნის სოსლანის პუბლიცისტურის ნიჭის და გამჭრიახობისა. ჩვენს მწერლობაში მას სწორედ რომ არა ჰყავს ბადალი და სრულიად ცალკე დგას, როგორც ჯირკი ახოთ ამოღებულ ტყეშია... ყველაზე უფრო მოსაწონი მასში ისაა, რომ მეტის-მეტად მიმხდომი და ნათლად გამორკვეული მიმართულების კაცია. — დასწერა, ვსთქვათ, რამე «ოინბაზური» ბ. შჩედრინმა—მთელი ქვეყანა გაოცებულია: რის თქმა უნდოდა რუსთა დიდებულ მწერალსო?—ბ-ნ სოსლანს კი კუდით უკავია «ოინბაზი» მწერლის დედა-აზრი. ამ შემთხვევაში მას, როგორც თვითონვე ბრძანებს, «ვერაფერი ვერ გამოეპარება!..» მაგრამ, რას ვამბობ? შჩედრინი რა ამისთანა სამაგალითო ვინმეა? თქვენ ის სთქვით, რომ თვით «ბურუსით და ჯანღით» გარემოცული «თეატრის» სტატიებიც კი მისთვის დღესავით ნათელი და გასაგები არიან. ამაზე შორს ხომ ეღარ გასტანს უბრალო სიკვდილის შვილის გონების გამჭრიახობა?!... ამ შეუდარებელ ღირსებათა გარდა, ბ-ნ დ. სოსლანს თან დიდი ჯაფა და შრომაც სჩვევია. «გამჭრიახი» და არა «ოინბაზური» მწერალი ორ საზოგადოებას ასაზრდოებს თავის კალმის ნაწარმოებით. სხვათა შორის ადგილობრივ რუსის საზოგადოებას, მაგალითად, დიდის გულ-მოდგინეობით უამბობს, თუ რა უმეცარნი და სულელები არიან საზოგადოდ ყველა ქართველები და განსაკუთრებით დუშეთელები, როგორ თამაშობენ უკანასკნელნი ლოტოს და პრეფერანს, რა საქმეს სჩადიან იქაური წვრილი მოხელეები, მკითხავები და მეჭორენი... სხვისთვის ამისთანა შრომაც სრულიად საკმარისი იქნებოდა სამარადისო დიდების მოსაპოვებლად, მაგრამ ბ-ნი სოსლანი სხვა არ არის და ამისათვის სხვებსავით არ სჯერდება ვიწრო ასპარეზს. იგი იმავე მჭევრ-მეტყველებით «უდოკლადებს» ვისაც რიგია გორელებზე, რომელნიც, ასე წარმოიდგინეთ, გარიბალდისაც კი უცხადებენ თურმე თავის პატივის-ცემას, მაშინ, როდესაც სულ სხვა რიგად იხსენიებენ მას, ბ-ნ სოსლანს... ამ შემთხვევაში გორელების «უსინიდისობა», როგორც მშვენიერად გამოიკვლია ბ-მა სოსლანმა, თითქმის უდრის ჩვენებურ ხიზანების პირ-შაოობას, რომელნიც ასე ულმერთოდ აწვალებენ სხვა-და-სხვა «ღარიბ აზნაურ-შვილებს»... ერთის სიტყვით, ბ-ნის სოსლანის გენიოსობა მე არ შემიძლია ავწერო, მისთვის რომ, პირველად,—ჩემი კალამი მეტად სუსტია ამ გვარ საგნისათვის და მეორედ,—როგორც სამართლიანად ბრძანებს თვით ბ-ნი სოსლანი სხვისი პირით,—«все поддается опредѣленію, кромѣ глупости»...

* * *

ეს ყოველიფერი ჩვენც ხომ კარგად ვიცით, იტყვის მკითხველი,—შენ ის გვითხარი, რა არის ის «ერთი მეტად გასაოცარი საქმე», რომელსაც ზევით იხსენიებდიო?

— ჰო! ის!.. ცოტა რამე მიუხდომლობა... შეიძლება ისე... უბრალო შეცდომაც იყოს, მეტი არაფერი!..

საქმე, აი, რაშია! ბ-ნ სოსლანს, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, არაფრად უყვარს «ივერია». ზოგიერთი ბოროტი ენები ამბობენ ამის შესახებ, რომ «კატა ძეხვს ვერ შესწვდა, დღეს მაინც პარასკევიაო», მაგრამ მე ეს არ მჯერა! აქ უფრო, ჩემის ფიქრით, «იდეეაა» დანაშაული, როგორც ამბობენ სემინარიელები. ვერ ნახა კაცმა თავისი ჰკუის ვერაფერი და არ მოიწონა,—ეს სრულიად კანონიერი მოვლენაა. ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ბ-ნ სოსლანს, ვიმეორებ, არ უყვარს «ივერია» და «არც კითხულობს მას». მე კი... მე სულ სხვა გვემოს კაცი ვარ და... თეატრის (გაზეთი არ გეგონოსთ) სიყვარული სრულიადაც არ მიშლის ვინახულო ზოგჯერ ფილოპატიც, ამისათვის ვკითხულობ ხან-და-ხან ბ-ნ სოსლანის ნაწერსაც. აი, სწორედ ამ მისმა ნაწერმაც გამაკვირვა ამ დღეებში. ვკითხულობ, ვკითხულობ ერთს რუსულ გაზეთს და არა მჯერა!.. — «დასწყევლოს ღმერთმა, ვამბობ, ეს თითქო რაღაც ნაცნობია!» ჩავიკითხე ბოლომდის, დავაკვირდი...

— ვაჰ! გამარჯობა შენი, ფშაველო!..

— «ნიჩტო, ნიკაკოი!» თქვენი კვნესამე.

— ჰაჲ! შე ყურუმსაღო! მივაძახე. რომ მირუსულებ, რას მირუსულებ, ვეღარ გიცნობ, გგონია, თუ?!..

წარმოიდგინეთ, მკითხველო, ჩვენი ფშაველი, აი, ის ფშაველი, რომლის ცხოვრება, ჩვეულება, რწმუნება და, საზოგადოდ, ყოველი ალიან-ჩალიანი «ივერიის» ნომრებში იყო აწერილი ბ-ის ვაჟა-ფშაველისაგან, ეს ფშაველი, ვამბობ მე, რუსულ გაზეთში!.. ამაზე უფრო გასაოცარი გინახავსთ კიდევ რამე!.. ჩაუცვამს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩვენს ფშაველს რუსის მაზარა, ალჰურვილა დიდი «საპახოდო» წაღებით, წამოუკოსებია თავზე რუსული ქუდი, მიუკრია ზედ ფართო «ნიშანი» «ოინბაზური» ზედ-წარწერით: «Изъ этнографіи Кавказа, Пшавцы». Д. Сослани და გამოსულა «საგულაოთ» საზოგადოებაში.

— რა დაგმართია ეს, შე საწყალო? ვკითხე დაბრიყვებულ ფშაველს.

— რა ექნა, შენი ჭირიმე, გვიპასუხა მან, თქვენი მტერი დაიბრიყვოს, დამიბრიყვა მე, ბეჩავი, ბ-მა სოსლანმა. დამიჭირა ერთი ტიალ-ოხერი კაცი, გამაძრო ჩემი თბილი, ლაზათიანი შინაური ტყაპუჭი, ჩამაცო რუსული ფარაჯა, დამარქვა თავისი სახელი და ზე მიმყიდა სხვებს ორ გროშათ... ის მაინც ეთქო იმ დალოცვილს, რომ პირისუფალი ჰყავს, სულ უპატრონო არ არის-თქო—არ გრისხავდესთ მეტად ლაშარის ჯვარის მადლი,—ჩემი საკუთრებააო!.. საკუთრებაო! ესეც, რაღა, ძმის გატანაა, ვითომ!..

«ძმის არ გამტანი, თუ მკვდარი
ჯალაბთთვის ორივ ერთია;
ქვეშ დედა-მიწა ჩაუტუდეს,
ზეცით რისხავდეს ღმერთია.»

— არა, ეხლა მე გკითხავთ თქვენ ბ-ნო სოსლანო, რას ერჩოდით ამ საწყალს კაცს, რა დაგიშავათ მან თქვენ? რა ჰქვიან ამ გვარ თქვენ მოქმედებას? რას ეძახიან მას საზოგადოდ ყველანი?

მაგრამ ამ კითხვებზე, თუ თქვენი ნებაც იქნება, თვითონ მოგცემთ პასუხს იქითა კვირაში.

ილ. ხონელი

ჯელთაგანი სხვათა-შორის ციხეში დაწერაც არის ამასთანავე ამ შემთხვევაში კანონმდებლობის ვალია იზრუნოს, რომ დამნაშავენი დასჯის შემდეგ გაბოროტებულნი კი არ გამოვიდნენ ციხიდამ და ამ გაბოროტების გამო უარესი დანაშაულობა კი არ ჩაიდინონ, არამედ მორბილდნენ, გაბოროტებული ზნება დაიმშვიდონ და სასარგებლო წევრად დაუბრუნდნენ საზოგადოებას. აქამდე რუსეთის ციხეების საქმე ვერ იყო ამ გვარად მოწყობილი. სხვა-და-სხვა გვარის დანაშაულობის მომქმედნი ერთად აიღინთებოდნენ ხოლმე: ისიც, ვისაც მცირე და მსუბუქი დანაშაულობა ჩაედინა, იმასთან ისჯებოდა, ვისაც მძიმე და მეტად ბოროტი საქმე მოუქმედებინა. იმას გარდა, რომ ამ გვარს ციხეებში საშინელი ჯანის დამასნეულებელი ვითარება ჰსუფევდა, ციხეები ბოროტებისა და ავ-ზნეობის სკოლებად იყვნენ გადაქცეულნი. ამის გამო რუსეთის მთავარ-სამართველომ ციხეებისამ მიაქცია ყურადღება ამ გვარს სამწუხარო მდგომარეობას და სცდილობს შესცვალოს და განაგარგოს ციხეთა საქმე რუსეთში. საკატორღო ციხეების მაგიერ მან დააწესა, რომ საკატორღონი უქმად კი არ ისხდნენ, არამედ სახალინის კუნძულზე მუშაობდნენ, აკეთებდნენ გზებს, ნავთ-სადგურებს, ხიდებს და სხვა ამისთანაებში გართობილი იყვნენ. მთავარ-სამმართველოს ციხეებისას დღეს შეუდგენია პროექტი, რომ დამნაშავეთათვის სავალდებულო შეიქმნას სხვა-და-სხვა ხელობისა და ხელ-საქმის შესწავლა. ამ პროექტის ძალით ციხეებთან უნდა დაარსდეს სახელოსნოები; ამ სახელოსნოებში ყველა დამნაშავე ვალდებულია მუშაობდეს და სწავლობდეს ხელობას; ვისაც რა ხელობა ჰსურს, ის უნდა ისწავლოს; რაც დამნაშავის-მიერ გაკეთებულის ხელ-საქმით ფული შემოვა, ზოგი ხაზინის სასარგებლოდ გადიდება, ზოგი სახელოსნოსათვის და მასალის საყიდლად, ზოგი კიდევ ტუსაღს ეძლევა. რასაც ამ გვარად ტუსაღი მოინაღვაწებს, ხელში მიეცემა, ციხეში ყოფნის ვადა როცა გავა.

ამ გვარის პროექტის განხორციელება დიდად სასურველია და სანატრელია. ციხეები მაშინ სახელოსნო სკოლებად გადიქცევიან და თვით ხაზინასაც არა მცირედი სარგებლობა მიეცემა.

* * *

ვინ არ იცის, რა გაჭირვებაშია რუსეთის ერი იმ არყით ლოთობის გამო, რომელიც საშინლად არის გავრცელებული რუსეთში. აი ამ გარემოებამ დააფიქრა მმართებლობა და დღეს სხვა-და-სხვა გვარი ღონის-ძიებაა მიღებული, რომ ბოლო მოეღოს ამ სენს და ცოტაოდნად მაინც შემცირდეს ერის გამალარიბებელი და დამაგლახაკებელი ჩვეულება. მაგრამ მთავრობას არ შეუძლიან უებარი რამ წამალი დასდოს ამ სენს. საქმე ის არის, რომ სასმელებს რუსეთში დიდი ბაჟი ადევს, მაგრამ ბაჟი ვერა ჰშველის ლოთობის მოსპობას და შემცირების საქმეს. ხოლო მთავრობას არ შეუძლიან, რომ მეტად სასტიკად მოიქცეს ამ საქმეში: მაშინ ხაზინას დააკლდება ის დიდი შემოსავალი, რომელიც სასმელების ბაჟისაგანა აქვს ყოველ-წლივ. შეამცირებს მთავრობა სასმელების ხმარებას — ხაზინას დააკლდება, და თუ არ შეამცირებს — ერი და ქვეყანა ღარიბდება. ამ გვარ გაჭირვებაშია დღეს ფინანსთა სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარება სასმელების საქმე რუსეთში. ამის გამო სამინისტრომ სხვათა-შორის ერთ ღონის-ძიებას მიჰმართა: დააწესა ცალკე კომიტეტები, რომელთაც ნება-აქვთ აღკრძალონ სასმელების სყიდვა სოფლებსა და დაბებში, თუ ხალხი განაჩენით ამას მოითხოვს. ზოგს კომიტეტს ეს ვერ გაუგიათ და ჰგონებიათ რომ სადაც გინდა იქ ჩვენის ნებით აღვკრძალავთ სასმელების სყიდვასაო და აუკრძალავთ ძალიან ბევრგან, მაგალითად ვიატსკის გუბერნიაში 2,349 სოფელში, ტამბოვისაში—950 სოფელში. საფინანსო გაზეთი ამბობს, რომ სადაც თვით სოფელსა ჰსურს, იქ უნდა აიკრძალოს სყიდვა სასმელებისაო, კომიტეტებს კი იქაც აუკრძალავთ, სადაც ხალხს არ დაჰკითხებიან. ამ ბოლოს დროს ძალით ბევრმა სოფლებმა გამოაცხადეს სურვილი, რომ იმათში სასმელები არ იყიდებოდეს. ეს რასაკვირველია სასიამოვნოა. მაგრამ იმდენად არის სასიამოვნო, რამდენადაც ამასთანავე სოფლები ეცდებიან, რომ იმათში უბაჟო და უპატენტო სასმელი არ იყიდებოდესო. ხოლო ცხადია იქ ამას რად ეცდებიან ნაცვლეები, სადაც კომიტეტს მათის სურვილის წინააღმდეგ აუკრძალავს სასმელების სყიდვა. ერთის სიტყვით, ასე გამოდის რომ «ვაის გავექეცი, ვის შევეყარეო» და ამის გამო რუსეთის გლეხის ლოთობას საშველი ჯერ-ჯერობით არსაიდამ არ უჩანს.

* * *

უცხოეთი

ოსმალეთი. წინასწარ-მეტყველი უნდა იყოს კაცი, რომ გაიგოს რამე ბალკანიის ალიანთულ საქმეში. ამ საქმეზე რიგი რას ამბობს და რიგი რას. დეპეშები სულ სხვა-და-სხვა ნაირია. აი ახლა კი სწორედ მშვიდობიანობა დამყარდებაო, ამბობენ ერთნი; სწორედ წამლის სუნი ტრიალებსო და გაზაფხულზე ომს უნდა მოველოდეთო, გაიძახიან მეორენი. ბალკანებზე ფედერაცია დამყარდებაო ოსმალეთის მოთავეობითაო, ამბობენ მესამენი და ასე ამ რიგად არა აქვს დასასრული სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმასა.

ოსმალეთი ჯერ კიდევ ომის გაცხარებულს მზადებაშია: ცხენები მოსდის უნგრიიდამ, ზარბაზნები რიცხვით 78 ამსტერდამიდამ მოსულია. ჯარებს შუაზიიდამ იბარებს. ოსმალეთის ყურადღება ფლოტის განკარგებაზეა მიქცეული. ხაზინა კვლავ სესხულობს ფულებს, სადაც კი შეიძლება და ვისგანაც კი შეიძლება.

ამბობენ, რომ ოსმალეთმა სრულიად გაათავა საქმე ბოლგარიასთანაო და თუ ომის მზადებაშია, იმიტომ რომ საბერძნეთი არა სცხრებაო. ოსმალეთის ჯარები ეხლა რუმელიის სამზღვრიდამ გადაჰყავთ საბერძნეთის სამზღვრებისაკენაო. «ტყუილად ეგონათ სერბიასა და საბერძნეთს—ამბობს ოსმალეთის პუბლიცისტი ასმედ-მითხად-ეფენდი—რომ ჩვენა და ბოლგარები ერთმანერთს შევაწყდებოდითო ფილიპოპოლის ამბავის გამოვო. და ამ დროს სერბია ბოლგარებს წაართმევდა რასმე და საბერძნეთი ოსმალეთსაო. ჩვენ დავუმტკიცეთ ამ ბატონებს, რომ ჩვენ უომრადაც შეგვეძლო მორიგება და კიდეც მოვრიგდით.

ახირებული კაცი ყოფილა ეს მითხადი. ორის ოფიციალურის გაზეთის რედაქტორია და ორთავეში ხონთქარის ქება-დიდებასა სწერს და გუნდრუკს უკმევს მართლ-მორწმუნეთა მბრძანებელს აბდულჰამიდს.

«როცა ფილიპოპოლის ამბავი მოხდა, ამბობს მითხადი, ყველა გაშტერდა, ყველას ეგონა, რომ დიდი შედეგი მოჰყვება ამ ამბავსაო, თვით ბოლგარიაც, პატარა ხნის შემდეგ სანანულს მიეცაო. აი ამ საყოველთაო გაშტერების დროს მხოლოდ ერთი სხივოსანი ადამიანი იყო, რომელიც მიხვდა რომ ფილიპოპოლის «უსისხლო რევოლიუციას» უფრო მტკიცედ შეეძლო დაეკავშირებინა ოსმალნი და ბოლგარნიო».

«ეს სხივოსანი, ღვთაებური ადამიანი იყო პირ-და-პირ ღვთის მიერ შთაგონებული მბრძანებელი ოსმალეთისა, ვისი გონებაც უფრო ნათელია ვიდრე მზე, ვისი გულიც უფრო ვრცელია, ვიდრე ოკეანეო.»

«ყველა აღიარებს ეხლა, რომ ხონთქარი უდიდესია უდიდესთა შორის. ჩვენც ამ აზრისანი ვართ. დიდი და დიდებული ის კი არ არის, ვინც იმას ჰხედავს და აკეთებს, რასაც სხვები. არც იმ თვისებას უწოდებენ დიდებას, რომლის შემწეობითაც რჩეული განსჭვრეტს და გააკეთებს იმას, რასაც სხვანი ვერ შეიძლებენო».

«დიდი და დიდებული ის არის, რომელიც თვით ბოროტს სახეიროს რასმე ამობანებსო. როცა რომელიმე საქმე ბოროტების წყაროდ მიაჩნიათ, ზე-მომადლებულის გონებით აღჭურვილი ამ დროს სიკეთეს აფრქვევინებს ამ საქმესაო. აი ამ ნაირნი არიან უდიდესნი მოღვაწენი მსოფლიო ისტორიისა და ამ ნაირთ შორის ჩვენ ზე-შთაგონებულს ერთ-მთავარს პირველი ადგილი უჭირავსო»

«ბისმარკი ვინ არის აბდულ-ჰამიდთანაო. ეს ათია და ის ერთიც არ არისო». აი ასეა თურმე დაწერილი ოთხსვეტიანი წერილი მითხად-ეფენდისა.

* * *

დეპეშა

7 მარტს

პეტერბურგი. გამოცხადდა აღებ-მიცემობის პირ-შეკრულობა რუსეთისა და კორეიას შორის.

გამოცხადდა სახელმწიფო რჩევის დადგინება, რომ დაწესდეს ამურისა და სამარის საკონტროლო პალატა და გაუქმდეს ენისეისკისა.

ნავთის კეთების ამხანაგობა «ნობელი» შუა-მდგომლობს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მისცეს 2½ მილიონის ობლიგაციების გამოცემის მთავრობის-მიერ ნება-დართულის ვალის გასასტუმრებლად. ობლიგაციების სყიდვის მსურველნი უკვე აღმოჩნდნენო.

მანჩესტერი. დღეს მუშებმა არეულობა მოახდინეს, რადგანაც უსაქმოდ დარჩნენ. პოლიციამ შეიმაგრა, რომ ცარცვა არ დაეწყოთ და სამი მუშა დაატუსაღა.

ლიუტტიხი. აქ დიდი არეულობა მოხდა, პარიჟის კომმუნის აჯანყების დღეობის გამო; დაატუსაღეს 100 კაცამდე.

სტამბოლი. ოდესიდამ წამოსულს გემს «რუსეთის სანავოსნო საზოგადოებისას» სახელად «ალექსანდრეს» მარცხი მოსვლია კილიის ახლოს; შიგ-მსხდომნი და მოსამსახურე მოხელენი გადაარჩინეს; გემი-კი ისევ გაჭირვებაშია, რადგან ჯერ კიდევ ქარი ჰქრისო.

8 მარტს

პეტერბურგი. «Новое Время» იწერება, რომ საბლერი დირექტორი უწმინდესის სინოდის კანცელარიისა ამ ზაფხულს სტამბოლში წავა გამოსარკვევად ბერძენ-ბოლგართა საქმისა. ამ საქმეს ეტყობა თურმე, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ჰსურვებია დაუახლოვდეს რომის პაპსა. საბლერს მინდობილი აქვს აგრეთვე რუსულის სკოლის დაარსების საქმე და ათონის მთასაც მოივლის.

ლონდონი. საადმირალო მდივანმა აცნობა საზოგადოებათა პალატას, რომ ამ ჟამად კეთდება 20 აბჯრიანი ხომალდი და 34 ამფეთქებელი ნავი.

პარიჟი. პარიჟის კომმუნის აჯანყების დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა.

ლიუტტიხი. მხოლოდ შუაღამის მოახლოვებისას დაამშვიდეს მეამბოხენი. მეამბოხეთა და ჯარის კაცთაშორის ბევრია დაჭრილი. რამდენისამე ასი ათასის ფრანკის ზარალი მოუვიდა ქალაქს მეამბოხეთა ცარცვა-აკლებისაგან.

ბერლინი. უმთავრესნი მუხლნი შაქარზე ბაჟის დადების კანონ-პროექტისა რეიხსტაგმა უარ-ჰყო მეორედ წაკითხვის დროს.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

9 დღე კვირა. წმ. ორმეოცთა ყრმათა სებასტიის წამებულთა. კათ. ფრანცისკისა. მუსულმ. ნავრუზობა, ახალი წელიწადი (შიიტის მოძღვრ.) 16 დღე თთვისა-ჯემედ-ულ-ახირ, 1303 ჰიჯრისა.

ბელაქანი დაპყრობილ იქმნა. ჭარელნი ლეკნი დამორჩილდნენ რუსეთს 1803 წ. ყარაიაზის არხი გაიჭრა 1867 წ. თამბაქოს ბაჟი დაედო ამიერ-კავკასიაში 1873 წ.

ჭეშმარიტი შუა დღე 12 — 7—15. ტფილისში მზე ამოდის 6—1; ჩადის 6—14; მთვარე ამოდის 8—46 ღ. ჩადის 6—34.

გაზაფხული იწყება და დღე და ღამე სწორდება.

10 დღე ორშაბათი წმ. კონდრატისა. კათ. 40 მოწამე. ჭეშმარიტი შუადღე 12—6—57. ტფილისში მზე ამოდის 6—0; ჩადის 6—15; მთვარე ამოდის 9—9 ღ. ჩადის 5—2.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ. . . .	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ.სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა . . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . . .	3 »
მე-3 — . . .	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა .	8 »
2 — . . .	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გაჭირების გამოთ

ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, სემინარიის პირ-და-პირ იყიდება საბინინის წიგნი

„საქართველოს სამოთხე"

რვა მანეთად

ორი კვირის განმავლობაში.

(3—3)

Дозволено цензурою Тифлисъ 8 Марта, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასახლის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.